



თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 23
31/08/2020

23-09-4-202008311725



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03
დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების
დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 24/11/2017, 010250020.35.163.016355).

1. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მერიის დებულებასა და სამტატო ნუსხას, აგრეთვე მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამ დებულებით დადგენილი წესით ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, გარდა ამ პუნქტის „ა“-„გ“, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, აგრეთვე იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს; ახდენს მერიის თანამდებობის პირებისთვის, სხვა მოხელეებისთვის ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის უფლებამოსილების დელეგირებას კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ მერიის თანამდებობის პირს, მოხელეს ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, რომელიც განახორციელებს კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებულ დელეგირებულ უფლებამოსილებას.“.

4. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს, მათ შორის, საბჭოებს, კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს.“.

5. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის 3.4. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც მოიცავს:

- ა) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას;
- ბ) სოციალურ საკითხთა განყოფილებას;
- გ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას.“.

6. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მერის წარმომადგენელს აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკი.“.

7. დადგენილებით დამტკიცებული „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები.

8. ამ დადგენილების მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2020 წლის 01 სექტემბრიდან.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

